

ამას წინათ ინგლისურმა იუმორისტულმა ჟურნალმა „პანჩმა“ ერთ-ერთი თავისი ნომერი მიუძღვნა თემას: როგორ უნდა მიეჩიოს ინგლისი მეორეხარისხოვან სახელმწიფოს ბედსა და მდგომარეობას მასში. როდესაც იგი მდიდარმა პარტნიორმა ამერიკამ ყველა თავისი კოლონიიდან და გავლენის სფეროდან განდევნა.

ნახ. გ. ლომიძისა

საქართველო
საბჭოთა კავშირი



— დიღო მბრძანებელო, სბილო იხე დაბოტებს ჩემს ქვეყანაში, რომ ყველაფერი გადათელა, ვირი კი ტლინკებს მესვრის.
— რა ვქნა, ჩემო ბაბოა, მე აღარავინ არაფერს შეეითხება, სბილოებსა და ვირებს დარჩათ ქვეყანა.



№ 22 თბილისი ნომრები 1958

საბჭო

ვახოტძის XXXVI წელი ზანი 2 მან.



“ნიანგის“ თასის ეს გათამაშება მიეძღვნა ერთგვარ გადატრიალებას სახალხო განათლების სფეროში. საქმე ისაა, რომ თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ა. ჟღენტმა “ნიანგის“ თასის მსაჯთა კოლეგიას განსახილველად გადასცა ახალი გასართობი—„კლასობანა“, რომლის საექსპერიმენტო ვარჯიშები უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღრეთის შეიღწლიან სკოლაში. ამ თამაშის წესები შემდეგში მდგომარეობს:

მეორე და მეოთხე კლასის მოსწავლეთა მეცადინეობა ერთდროულად ერთ პატარა საკლასო ოთახში ტარდება, ერთი მასწავლებლის მიერ. აქ იქმნება ფრიად საინტერესო მომენტი. მაგალითად, თუ მეორეკლასელი მოსწავლე ეშმაკობს, მასწავლებელი მას მეორე, გვერდით მერხზე გადასვამს, ამრიგად, მეორეკლასელი ყოველგვარი გამოცდის გარეშე, პირდაპირ მეოთხე კლასში იქნება გადაყვანილი. ამავე მეთოდით ხდება მეოთხეკლასელის დაბრუნება მეორე კლასში. გარდა ამისა, „კლასობანას“ აქვს უაღრესად კეთილშობილური და შეღავათიანი მხარე. თუ მეოთხეკლასელმა არ იცის გაკვეთილი, მას წარმატებით შეუძლია უპასუხოს გაკვეთილი მეორე კლასის პროგრამიდან, ხოლო ნიჟიერ მეორეკლასელს თამამად შეუძლია გამოამჟღავნოს ტალანტი და მოამზადოს გაკვეთილი მეოთხე კლასის პროგრამიდან.


საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი: თუ მასწავლებელი გაკვეთილს უხსნის მეორე კლასს, მეოთხეკლასელებს საშუალება ეძლევათ გაიმეორონ ორი წლის წინ განვლილი მასალა და გაიხსენონ, რომ ორჯერ ორი ოთხია, ძროხა შინაური ცხოველია, ხოლო მგელი გარეული. მათ აგრეთვე აქვთ საშუა-

ლება უკარნახონ თავიანთ პატარა მეგობრებს, გაიციონ მათ სისულელეზე და სხვ. მეორეკლასელებს კი აქვთ ბედნიერი შემთხვევა ორი წლით ადრე გაიგონ რას სწავლობენ მეოთხე კლასში.

სწავლების ასეთი მეთოდი იძლევა პედაგოგისთვის მაქსიმალურ ეკონომიას: ერთ მასწავლებელს ერთდროულად შეუძლია ასწავლოს ორ კლასს. გარდა ამისა, სწავლების ასეთი მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლეთა შეგობრულ თანამშრომლობას და მაღლა სწევს მათ იდეურ და მორალურ დონეს (რაც გაკვეთილების მხიარულად ჩატარებაში გამოიხატება).

„ნიანგის“ თასის მსაჯთა კოლეგიამ გულდასმით განიხილა ამხ. ა. ჟღენტის მიერ გამოგონილი გასართობი „კლასობანა“ და შიგ მცირე შესწორება შეიტანა. კერძოდ: არ არის საჭირო საერთოდ მასწავლებელი; გაერთიანებული იქნას შეიღწლიანის ყველა კლასი ერთ დიდ ოთახში და მოსწავლეებმა ერთმანეთს ასწავლონ. საერთოდ ამ გასართობს მაღალი შეფასება მიეცა, ხოლო ამხ. ა. ჟღენტს განათლების სფეროში ფასდაუდებელი ღვაწლისათვის გადაეცა „ნიანგის“ სპეციალური თასი წარწერით: „ისწავლე, სწავლის მძებნელო“.

ნახ. გ. ფირცხალავახი



— ამ ბოლო დროს რაღაც ცივად მებუკობი.

— რა გახაკვირია, თბილვაპრობიდან ხორცკომბინატის მაცივარში გადამიყვანეს.

ქარხნის დირექტორი

ამერიკის შეერთებულ შტატებში კოლოსალურად იზრდება მცირეწლოვან ბავშვთა დანახვა უსულობანი.



დავით გრიგორიძის კაბინეტის კარი დაუკითხავად გაიღო, შიგ ვილაც შემოვიდა და გაუბედავი ნაბიჯით მიუახლოვდა საწერ მაგიდას.

— რას გვიბრძანებთ? — ძლივს ასწია თავი დირექტორმა.

— ბატონო დავით, მე თქვენი მძღოლის სეროქას ცოლი ვარ და უნდა გითხრათ, რომ სეროქამ ოჯახზე ხელი აიღო. მოხუცი დედამთილი და ორი ბავშვი შემატოვა ხელში და პურის ფულსაც აღარ გზავნის. თქვენი ხათრი ძალიან აქვს, იქნება როგორმე იმოქმედოთ! ძალიანა გთხოვთ, მიშველოთ რამე. როგორ მოვიქცე?

— სახლში არ მოდის? მაშ სად არის?

— ვილაც ქალს გადაეკიდა და ოჯახი შეიძულა.

— სერგო ძალიან პატიოსანი კაცია, მაგას არ იზამდა. იქნებ ეჭვიანობ?

— არა, ბატონო, მე საბუთი მაქვს.

— მაინც რა საბუთია ასეთი?

— ფოტოსურათები მაქვს... ამ ზაფხულს რომ ქარხნიდან საგზური მიიღო და გაგრაში ისვენებდა, ის ქალიც იქ ყოფილიყო. ჩემი ამხანაგი და მისი ქმარიც გაგრაში იყვნენ, მათ ფოტოაპარატი ჰქონდათ და ისე ჩუმად გადაეღოთ, რომ სეროქას და იმ ქალს ვერც კი გაეგოთ.

— მე ვნახავ სერგოს, მოველაპარაკები და ვნახოთ რას მეტყვის. ისე, მე მაინც არ მჯერა, ის მეტად პატიოსანი კაცია.

— თქვენ ასე გგონიათ, ბატონო. დილით მოვიტან იმ ფოტოსურათებს და დაგარწმუნებთ. ნახვამდის! — და ნახევრად ატირებული ქალი სწრაფად გავიდა კაბინეტიდან.

როდესაც დავით გრიგორიძე სახლში დაბრუნდა, თავის ცოლს, ქსიუშას სადილის შემდეგ შესაქცევად სეროქასა და მისი ცოლის ამბავი მოუყვა. ქსიუშამ ჯერ ნერვიულად იხარხარა და ბოლოს ჭკვიანი ქალის კილოთი დარიგება მისცა ქმარს:

— ხომ იცი, დათიკო, სერგოს წყენა ჩვენ კარგად არ დაგვიჯდება, იმ გომბიოს არც კი უნდა გაუტოლოთ თავი. როგორ უნდა გაგიბედოს მაგ საკითხზე საუბარი? შენ შუამავალი ხომ არა ხარ!.. ცოტა თავი დაიფასე. გესმის? მე არ მესიამოვნება ასეთი თავის დამცირება. მეტს ნუ მიიღებ სალაპარაკოდ იმ ქალს. გასაგებია?

— კი, ჩემო სიცოცხლე, კი, მეც ასე ვიფიქრე. აბა რა საერთო გვაქვს ამ ამბავთან. კისერი იტეხონ, თვითონ მორიგდნენ.

მეორე დღეს დირექტორი ახალი მოსული იყო, რომ მდივანმა ქალმა მოახსენა:

— ბატონო, დილას ის ქალი იყო, გუშინ რომ გეახლათ. არ ბრძანდებოდით და წავიდა.

— თუ კიდევ მოვიდა, არ შემოუშვა. უთხარი მოხსენებას წერს და არავის არ ლებულობს-თქო, გესმის?

— დიახ, ბატონო დავით.


ამ დროს, მოულოდნელად გაიღო კარი და ნელი შემოვიდა. ის სასწრაფოდ მიუახლოვდა მაგიდას, ხელჩანთა გახსნა, ფოტოსურათები დირექტორს დაუყარა და დაუმატა: — აი, თქვენი პატიოსანი სეროქა. ახლაც ვეჭვიანობ?!.

დირექტორმა სურათებს დახედა და გაოცებისაგან თვალები დააჭყიტა, მერე მოხუჭა, ისევ დააჭყიტა, სურათები მაგიდაზე დაყარა, ხელები ჰაერში გაასავსავა, თავზე შემოირტყა და არაადამიანურად დაიღრიალა:

— ქსი...უ...შა!.. — მერე მოცელილივით დაეშხო მაგიდაზე.

მდივანმა ერთი ირიბად გადახედა ფოტოსურათებს, ვეხაკრფით გაიარა ოთახი, თავის მაგიდასთან დაჯდა და ირონიულად გაიღიმა...

ნახ. გ. ფირცხალავასი



— სულ ბავშვია, თხუთმეტ წელზე მეტს არ მისცემ
— მოსამართლემაც მაგრე მისცა.

ივალნიური ივანოვი

ერთმა კაცმა საჩივარი მიუტანა რაზმის მეთაურს, რომელიც განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა. იგი ჩიოდა: — თქვენმა ჯარისკაცმა ქუჩაში წამოსასხამი მომტაცაო. მეთაურმა შეხედა მომჩივანს, რომელსაც მშვენიერი ქურთუკი ეცვა და ჰკითხა: — როდესაც ჯარისკაცი წამოსასხამს გტაცებდა, გეცვა თუ არა ეგ ქურთუკიო. მომჩივანმა თავი დაუქნია. — ო! მაშინ ის ჩემი ჯარისკაცი არ იქნებოდა, თორემ მაგ ქურთუკს არ დაგიტოვებდაო.



ფსიქოლოგია



ქვემოთაა
გაბრიელის

რედაქცია გადაუჭრელი პრობლემის წინ იდგა:

— რა მოვუხერხოთ ჭყვიშელის ფელეტონს?—მეათედ კითხულობდა პასუხისმგებელი მდივანი.

- დაებეჭდოთ.
- თავი მოგვეჭრება.
- ამის გამოქვეყნება არასგზით არ იქნება!
- შეგვეკამს, თუ არ გამოვაქვეყნებთ!

მთელ ამ გადახილ-გამოძახილში რედაქტორს კარისაკენ ჰქონდა მიპყრობილი თვალეზი და გარკვევით არაფერი იცოდა, რას ფიქრობდა.

ვილაძემ კაბინეტის ფანჯარაში შემოჭრილი აკაციის ტოტი მოიწოდა, ყლორტი მოწყვიტა და ფურცვლა დაუწყო:— დაებეჭდოთ, არ დაებეჭდოთ!... დაებეჭდოთ, არ დაებეჭდოთ!...

- რა დროს ხუმრობა და მკითხაობაა, თუ კაცი ხარ!
- აბა რა ვქნა, — მხრები აიჩეჩა „მკითხავემა“.

ახლა უკვე ყველა მიხვდა, რას ფიქრობდა რედაქტორი: „ეკ“, — შეპყვირა რედაქტორმა, რემენგტონზე დაბეჭდილი ფელეტონი ხელეშუა მოაქცია და...

- არ დახიო, არ დახიო! — აყვირდნენ თანამშრომლები.
- მაშინ დაებეჭდოთ, ოღონდ არ შევცვალოთ არც ერთი სიტყვა, მძიმე და წერტილი რა არის, ისიც კი ადგილზე დაეტოვოთ, ამით თუ ავალეზინებთ ხელს წერაზე.

— კარგია! — გამოცოცხლდა რედაქტორის მრადგილე, — მაგრამ ეგ არაფერი. ეგ კაცი სახელით სარგებლობს და ჩვენთან სისულელეები მოაქვს. ფსევდონიმი კი არა, მაგისი გვარი და სახელი მოვიწეროთ. ხომ ეტყვიან, ეს რა დაგიწერიაო. ჰოდა, თავი თვითონ მოეჭრება. თავი კი არა, იქნებ გულიც წაუვიდეს. ცოტა ჩვენც გავილანძღებთ, მაგრამ ეგ არაფერი. ისწავლიან ჰკუას ფსევდონიმს ამოფარებული „ავტორიტეტები“.

... რუსთაველის პროსპექტზე ორი მამაკაცი ათვალეზრებდა ახალგამოსულ ჟურნალს და ხითხითებდნენ.

— რა გაცინებთ? — ჰკითხა მათ მოახლოებულმა ახალგაზრდამ, — ალბათ რაღაც სამხიარულოს კითხულობთ!

- სამხიარულო კი არა, სატირაღია.
- მაშ რაღას იცინით?

ახალგაზრდას უხმოდ გაუწოდეს ჟურნალი და ჭყვიშელის ფელეტონზე მიუთითეს.

— აღმაშფოთებელია! — თითქმის იყვირა ახალგაზრდამ. — ეს რა დაუჩაპნია, კაცო, რედაქტორი რაღას ფიქრობდა?

- ვისაც კი წავაკითხე ეს ფელეტონი, ყველამ ეგ მითხრა.
- ასეა, როცა კაცს დიდი სახელი აქვს, უჭკუობასაც გამოგაქვეყნებინებს.

ერთმა მოსაუბრემ ხელი წაჰკრა ახალგაზრდას, ანიშნა, გაჩუმდით.

- ჯგუფს ჭყვიშელი მიუახლოვდა.
- ვახლავართ ანდროს! — მიესალმნენ მოსაუბრენი.

- უხერხული ღუმელი ჩამოვარდა.
- წავიკითხეთ შენი ფელეტონი.

- ხომ მოგეწონათ? — თვალეზი გაუბრწყინდა ჭყვიშელს.
- გენიალურია!

— მხოლოდ შენ გეხერხება აზრიანად წერა. საქართველოში ახლა კაცს ვერ ნახავ, რომ გვარიანი ფელეტონის დაწერა შეეძლოს.

— წარმოგიდგენია?! ვისაც კი წაუფიქრებია ჩემი ფელეტონი, ყველამ ეგ მითხრა. ყველა აღფრთოვანებულია! მაგრამ ჩემი გვარი რატომ მოუწერიათ, მე ფსევდონიმით ვაქვეყნებ ფელეტონებს.

დღის ბოლოს სახეაწითლებული ჭყვიშელი რედაქტორს მიეჭრა:

— ხომ გეუბნებოდით, ფურორს მოგახდენ-მეთქი. ხალხი აღფრთოვანებულია, კაცი არ შემხვედრია, რომ არ მოელოცოს, მაგრამ ჩემი გვარის მოწერა მაინც არ იყო საჭირო. კიდევ ორი ფელეტონი მოვიტანე. დამიბეჭდეთ, ხალხს დავეზაროთ, წერა ვასწავლოთ!

გ. ჯინჯარაძე

ნახ. ჯ. ლოლუასი



- რატომ შეწყვიტა დირექტორმა მიღება?
- იხევ გული მოუვიდა.



— რატომაა ეს დრამატურგი მგლოვნიარედ?
— პიესის მთავარი გმირი შემოაკვდა პირველსავე მოქმედებაში.

გაკვრით ბუზებისა და ადამიანების ურთიერთობის შესახებ

ბუზი შინაური ფრინველია და მის მტრობას ადამიანთან მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ისტორიული წყაროების მიხედვით ბუზი აშხ. ი. ქრისტეზე ადრე დაიბადა და თუ ის «ელინურ მითებში» არ მოუხსენიებიათ მხოლოდ იმიტომ, რომ წიგნი იანვრის თვეშია დაწერილი.

მტრობის ისტორიული ფესვები განსაკუთრებული სიციხადით არის მოცემული ქართულ ხალხურ ზღაპარში «ფასკუნჯი».

ზოგიერთი მეცნიერის ყალბი თვალსაზრისით ფასკუნჯი სრულიადაც არ არის ბუზი, მაგრამ საკითხს საკმაო ნათელს ჰფენს ნაზარას თავგადასავალი («ქაჩნაზარ» — მამაცი ნაზარა).

წიგნში პატრიოტიზმისა და გმირობის მოტივების გვერდით ცხოველი დამაჯერებლობითაა მოცემული ნაზარას შერკინება ბუზებთან. დიახ, ნაზარამ ყოველგვარი ატომური და წყალბადის იარაღის გარეშე კაცობრიობას დაუმტკიცა თუ რაოდენ დიდ რამეს ნიშნავს ღონე და არა ხერხი, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. მაგრამ კაცობრიობა მაინც დადგა კატასტროფის წინაშე — ნაზარა მოკვდა და ჩვენ ბუზების პირისპირ დავრჩით.

ნაზარაზე ნაწყენი ბუზები მთელი ენთუზიაზმით ებრძვიან კაცობრიობას. მათ წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებას, ასე გასინჯეთ, ვერც აშხ. ლ. თათქარიძის ხმის ამაღლებამ უშველა.

განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა ბუზების წინააღმდეგ ჩვენს საუკუნეში. აგურის ფხვნილის გამოცდის შემდეგ წყნარ ოკეანეში (ფხვნილს პირში აყრიდნენ ბუზებს), ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა ბუზების წინააღმდეგ ოცამდე დასახელების წიგნი დაწერეს.

წიგნები ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებიან ავტორების სამეცნიერო ტიტულებით, გვარებით და ასე გასინჯეთ ინიციალებითაც კი. ისინი ამტკიცებენ, რომ, მათი აზრით, ბუზი ტიფისა და დიზენტერიის მიზეზია მხოლოდ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კაცობრიობის ყველაზე დაუძინებელ მტრებად მაინც ბუზები რჩებიან.

ნაშრომების განხილვის შემდეგ ბუზებმა დაასკვნეს, რომ, როგორც სეისმოლოგიური მოვლენა, მაიმუნის გადადამიანების პროცესი გაცილებით უინტერესოა, ვიდრე ადამიანების გამაიმუნებისა.

უფრო შეგნებულმა ბუზებმა ზომიერება ბოლომდე შეინარჩუნეს და «ისტრებიტელ»-ის (არის ასეთი სიტყვა, მას პირში აწვეთებენ ბუზებს) და «მუხამორ»-ის (დაჭერილ ბუზებს რომ აწებებენ, ის არი) გახსენებაზე მხოლოდ შვიდაზროვნად გაიღიმეს. მათ შესაძლებლად ჩათვალეს ამ უკანასკნელთა შეტანა საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ აფთიაქებში და ადამიანთა ვერაგობაზე დროული სიგნალი მისცეს ამ ადგილებში მცხოვრებ ბუზებს.

ჯ. დილგელიძე



— ამან უნდა თქვას ცოლი მიდგას მხარშიო.

მოყვარული

მიმატოვა ჩემმა გოგონამ. მე ვტირი და თავი უბედური მგონია. ახლა კი ვხედავ, თუ რა ნაკლებად ვუფრთხილდებოდი მას, არც გული გადამიშლია მისთვის სავსებით. და, თუ იგი უკანვე დამიბრუნდა, მე მას ვარდებს ვაჩუქებ.

დრო აუტანელ მარტოობაში გადიოდა. მარტო ვარდები არ იყო საკმარისი ჩემი ანგელოსისათვის. მაშასადამე, ვარდები და ერთიც მარჯუნის ყელსაბამი.

იგი არ ბრუნდება. შეუძლებელია ჩემი ტანჯვის აღწერა. მე მას ვაჩუქებ ვარდებს, მარჯუნს და აბრეშუმის მანდილს.— უშედეგოდ.

მზე ჩადის და ღამე იპყრობს გარემოს. მის გარეშე გატარებული ღამე წამებაა. რაღა აზრი აქვს ჩემთვის ყოველგვარ სიმდიდრეს ამქვეყნიურს? მე მივცემ მას კიდევ ერთ ფილა შოკოლადს. არა, ორს! ვარდები, მარჯუნის ყელსაბამი, აბრეშუმის მანდილი და ორი ფილა შოკოლადი.

კიდევ ერთი წამებით აღსავსე დილა, ერთი ნაღვლიანი დღე. მას ჩემთვის არაფერი უცნობებია. მახსოვს, ერთხელ ჩვენ მაღაზიის წინ ჩავიარეთ, რომლის ვიტრინაში ნაჭედი ვერცხლის სამაჯური იყო. ოჰ! დღეს იმ სამაჯურს მას უწყობანოდ ვაჩუქებდი. ვარდები, მარჯანი, აბრეშუმის მანდილი, ორი ფილა შოკოლადი და ნაჭედი ვერცხლის სამაჯური.

უიმისოდ ძნელია დღე და ცარიელი, მზის სხივს მოკლებული. მე ამბარტავანი როდი ვარ, მაგრამ ოქროს ბეჭდის ყიდვას დიდი ხნით არ გადავდებ. ოქროს ბეჭედი არაფერია დაკარგული ბედნიერების წინაშე. მაშ: ვარდები, მარჯუნის ყელსაბამი, აბრეშუმის მანდილი, ორი ფილა შოკოლადი, ნაჭედი ვერცხლის სამაჯური და ოქროს ბეჭედი.

უეცრად სიყვარულის ცა გაიხსნა ჩემთვის. იგი კვლავ დამიბრუნდა. ჩემი სიხარულის აღწერა მე არ ძალმიძს. ყოველი წუთი ძვირფასია. ხვალვე ვუყიდი მას: ვარდებს, მარჯუნს, აბრეშუმის მანდილს, ორ ფილა შოკოლადს და ნაჭედი ვერცხლის სამაჯურს. მე მგონი არაფერი დამვიწყებია.

კიდევ ერთი შესანიშნავი დღე. მე მუდამ მასთან მივსივს. მე მსურს სამაჯურის: საყიდლად წასვლა, მაგრამ ამაზე დროს დაკარგვა მენანება. რით შეეძლება ყველა სამკაული ერთად იმ დროს, რომელსაც ჩვენ ერთი მეორის გვერდზე ვატარებთ. ამას ხომ ვერავინ მოგვტაცებს. ვარდები, მარჯანი, აბრეშუმის მანდილი და ორი ფილა შოკოლადი მე არ მავიწყდება.

ახალი დღე ჩვენ სიცილით გვესალმება. ამჯერად ვირწმუნე მე ჩვენი გრძნობების უცვლელობა. ვარდები, მარჯანი და აბრეშუმის მანდილი. მანდილი მას ნამდვილად მოუხდება.

სეირნობის დროს მე მაჯადოებს მისი მზით გასხივოსნებული სილამაზე. ასეთ მშვენიერ აბრეშუმის თავსაფარს მე ვერსად ვერ ვიშოვნე. ვარდებსა და მარჯანს მე მას ხვალ ვაჩუქებ. ისე, უბრალოდ, მიზეზის დაუსახელებლად. ის უფრო ნასიამოვნები დარჩება.

დილით მან მითხრა, რომ არასდროს აღარ მიმატოვებს. მაგრამ ვარდებს მე მაინც ვუყიდი. ვარდებიც ხომ საჩუქარია.


მე მეშინია მხოლოდ, შეცდომა არ ჩავიდინო. ჩვენი სიყვარული ხომ წმიდა და იდეალური უნდა იყოს. მე მას საერთოდ არაფერს არ ვაჩუქებ. რადგან ქალის საჩუქრებით შენარჩუნება ვერაფერი ვაქცავთ.

თარგმნა ზ. ჩხენკელი



— შეხედე რა მახინჯი ბავშვია!
— ამაზე იტყვიან დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო.

ნახ. თ. ჯვარციშვილისა



— წამოდი, თუ ძმა ხარ, ჩვენ არ დაგვაბრალონ!

როგორ ვიძიე შური ქურდზე

დილით ისედაც გაფუჭებული გუნება სულ დამიძმარა ცოლის შეცხადებამ.

— გუშინ ოცდახუთი თუმანი მომბარეს.

— სად?

— ტროლეიბუსში.

— ვინ?

— რა ვიცი, აბა, ვილაც სანდომიანი, მაღალი ახალგაზრდა იდგა ჩემს უკან... მაგრამ დანამდვილებით ვერაფერს გეტყვი.

რა უნდა მეტქვა. არც მისაუზმია, ისე გამოვედი შინიდან. ვერც დილის სუფთა ჰაერმა და მზის ჭიატმა ვერაფერი შეცვალა ჩემში. ყოველი მაღალი, სანდომიანი სახის ახალგაზრდა, ქურდი მგონია. მათთვის ათასგვარი სასჯელის გამოგონებაში ვიყავი გართული, რომ ვილაცამ ზედ ყურში ჩამძახა:

— ისე მიაბიჯებ, თითქოს მილიონის პატრონი იყო.

— რატომ არა, მოლარე კაცს, ფული შემომეღებო?— მივუგე მე და კოსტუმის გარე ჯიბისაკენ წავიღე ხელი, სადაც ზუსტად სამი ოცკაპიკიანი მედო.

ნაცნობს მალე დავშორდი. ლაღის წყლების მაღაზიაში შევედი. ის იყო ჭიქა ტუჩებთან მივიტანე და ორი ყლუბი გავაკეთე, რომ ვილაცამ, ჩემს უკან ჩრდილივით ატუზულმა, კოსტუმის ჯიბეში ჩამყო ხელი. უცებ რაღაცა აზრმა გამიელვა

თავში. ჭიქა იატაკზე დაგანარცხე და ქურდის ხტლს ჩემი ორივე ხელი ჩავავლე.

ჩემს წინ მაღალი სანდომიანი სახის ახალგაზრდა იდგა.

— ქურდი... ქურდი!— ავღრიალდი მე.

მოვარდა ხალხი, რაღაც ბედად წყლის დასალევად შემოსული მილიციელიც იქ იყო.

— რა მოხდა?— იკითხა მილიციელმა.

— ფული ამომაცალა.— შევღაღადე მილიციელს.

— რამდენია?

— ხუთასი მანეთი.

— შენი საბუთი, მოქალაქე!— მიმართა მილიციელმა ქურდს, რომელიც მოულოდნელობისაგან გაოგნებული იყო და ენას ვერ ძრავდა.

თვითონ მილიციელი დაეხმარა ქურდს ჯიბეების ამოქექვაში. საბუთთან ერთად ფულების ერთი დასტა ამოჰყვა ხელს.

— ჩემი ფული, ჩემი ფული!— მოვუმატე ყვირილს და, შურისძიებით ანთებული, ფულს ვეცი.

— მოიცათ, ამხანაგო!— საქმიანი იერი მიიღო მილიციელმა და ფულის დათვლა დაიწყო. ხუთას მანეთს თხუთმეტი მანეთი აკლდა.

— ასე უცებ სად წაიღე თხუთმეტი მანეთი, სად...— შევუტეე მე გახარებულმა იმით, რომ ფული ჩემს



— რას შევები, კაცო, ანგარიში არ იცი, თუმანი რომ დამაკელი?

— როგორ ამბობთ, ბატონო, ხუთი წელი მათემატიკურზე ვსწავლობდი და როგორ შემეშლებოდა.

მეორე დასახელებულ თანხას მიახლოებული იყო.

— იქნება შენსას აკლდა, შე კაცო, თორემ სად უნდა წაელო!— წარმოთქვა ვილაცამ ხალხიდან.

— ჯანდაბას მაგისი თავი, კიდევ კარგი, დროზე გავუგე.— დათმობაზე წავიღე.

— წამობრძანდით მილიციაში, ოქმი უნდა გავაფორმოთ!— მომმართა მილიციელმა და ფული გადმომაცა.

— თქვენ წადით და მე მოვალ...


ქურდი წინ გაიგდო მილიციელმა და, როცა კარებში გადიოდა, ქურდი მობრუნდა და წარმოთქვა:

— მე ქურდი, შენ აფერისტი!— მისი ნათქვამი ჩემს მეტს არავის გაუგია.

ცოლისა და ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაკარგული ოცდახუთი თუმნის ნაცვლად ოთხასი მანეთი მივიტანე შინ.

ასე ვიძიე შური ქურდზე.

ალ. კოკაია



უტექსტო ხუმრობა.



უტექსტო ხუმრობა.

ნახ. ჯ. გოგუასი

498
27/11 58

რედაქტორი— ელგუჯა მალრაძე. სარედაქციო კომისია: აკ. ბელაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონა, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე. საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нянки“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის— 8-76-69, ხაერთო განყოფილების— 2-13-29.

გამომც. № 22. ხელმოწ. დასაბ. 3/XI-1958 წ. კალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ზეგვ. № 1161. ჟგ 06978. ტირ. 40.000.



სპერიკული კინოს მსხვერპლი

— ბებია, ცოტა კიდეც მოითმინე, კინოში წავალ და გავიგებ რა გიყო.



ადამიანისმაგვარი მაიმუნები და მაიმუნისმაგვარი ადამიანები.



ნახ. ვ. გლივენსკისა

— მე კი კიბო მოგიტანე.



ნახ. ვ. გრიგორიევისა

— მე ლომი ვარ.

ПЕРЕМЕН



ნახ. ზ. ტულკაჩოვისა

— უჩემოდ ნუ დაიწყებთ. უცებ ჩავიკრები და მოვალ.



გამოთვრა
— ალო! ალო!...

ნახ. ა. არუთინიანცისა